# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/39 " 22 " მაისი 2020 წ.

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის მის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების დემონტაჟის განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმდინარე წლის 24 მარტის №06-2490 წერილით მომართა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა. წერილში აღნიშნულია, რომ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სარგებლობაში არსებული, ქ. კასპში, სააკაძის ქ. 124-ში მდებარე, 67.01.39.001 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული შენობა-ნაგებობებიდან (სადაც განთავსებულია კასპის მაგისტრატი სასამართლო), სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 21 იანვრის №000366120 დასკვნის მიხედვით, ნაგებობა №03-ის (საქვაბის) მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და ექვემდებარება დემონტაჟს ამ მიზნით სპეციალურად დამუშავებული პროექტის მიხედვით. აღნიშნულის გათვალისწინებით, საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა მოითხოვა მითითებული პროცედურის განხორციელებისათვის თანხმობის მიცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, განახორციელოს მის სარგებლობაში არსებული ზემოაღნიშნული უძრავი ქონების დემონტაჟი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი